ახალ წელს—ახალი ენერგიით!

ხუთწლედი — ვადამდე!

ბროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 იანვარი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • №2 (14302)

ეიი ლე, ჩვენო საქართველო!

△ თბილისი. ლენინის ქარხანა (დირექტორი ვ. ფულენტი) ჩვენი რეპუბლიკის ერთ-ერთი უნიკალური ნაწარმოა. იგი მომხმარებელს 16 სხვადასხვა სახის ლიქიორს აწვდის. ესენია „კოლხიდა", „ნუში", „ყავა", „ჩაი", „შოკოლადი" და სხვ. ქარხანამ წლიური გეგმა ვადამდე—20 დეკემბრისათვის შეასრულა და ამჟამინდელ საახალწლოდ 211 ათასი დეკალიტრი ლიქიორი გაუგზავნა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. ახალი წლიდან საწარმოს ტექნოლოგები ახალ არომატულ პროდუქციას ჰპირდებიან მომხმარებელს. ნავარაუდევია გამოუშვან უფრო დაბალგრადუსიანი ლიქიორები, რომლებსაც დაამზადებენ ნუშისაგან, ფეიჰოიასა და ატმისაგან.

ტ. კორიძე.

△ თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკამ ორი კვირით ადრე გაანაღდა ხუთწლედის მესამე წლის დავალება და მაშინვე ვალდებულება იკისრა ახალ წლამდე ვადის გადამეტებით რამდენიმე ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა. მეფეხსაცმლეებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ხუთწლედის მეოთხე წლის დასაწყისისათვის დამატებით გამოუშვეს 25 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, აქედან 20 ათასი წყვილი დაზოგილი მასალისაგან არის შეკერილი.

△ ქუთაისი. ხუთწლედის მეოთხე წლის ამოცანების განხორციელებას წარმატებით შეუდგნენ ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები. პირველ იანვარს ლენინურ შრომითს ვახსენებ, იდგნენ ამიერკავკასიის მაგისტრალზე ცნობილი მძიმეწონასანი მემანქანეები ავთანდილ სანიკიძე, მიხეილ გვეტაძე და სხვები.

პირველმა ქუთაის-ტყიბულის რთულ პროფილიან უბანზე დაებრკოლებლივ გამოატარა ქვანახშირით დატვირთული მძიმე ეშელონი, რომელიც ნორმას 200 ტონით აღემატებოდა. ამავე დღეს მიხეილ გვეტაძემ რკინიგზის სადგურ ქუთაის — პირველში ჩამოაყენა მატარებელი. იგი ნორმაზე 120 ტონით მეტი იყო. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა მემანქანემ გიგლა ვარდოსანიძემ, რომელმაც გრაფიკის დაცვით ჩამოიყვანა მძიმე ტვირთიანი შემადგენლობა. მისი წონა ნორმას 208 ტონით აღემატებოდა.

მძიმეწონიანი მატარებლები გაატარეს ბგრეთვე მემანქანეებმა შოთა ცქიფურიშვილმა, გივი ქასრაშვილმა და სხვებმა.

ახალ წელს დეპოს კოლექტივში უფრო ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს სს რესპუბლიკის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ივ. ბუხაიძე.

△ თბილისი. ახალი წელი ასეთი მაჩვენებლებით აღნიშნა თბილისის № 3 ლენინის ქარხნის კოლექტივმა: წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 400 ათასი მანეთის პროდუქცია, სულ კი თბილისელმა მეღვინეებმა ხუთწლედის მესამე წელს 12 მილიონამდე მანეთის პროდუქცია გამოუშვეს; გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 300 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. მიღებულია 50 ათასი მანეთი მოგება.

— ჩვენთან ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. აცნობა რედაქციას ქარხნის დირექტორმა ზ. კიკნაძემ.

△ ბათუმი. (საკ. კორ.). ყოველთვის სასახელო შრომითი მაჩვენებლები აქვთ ბათუმის კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის" მებადურებს. ისინი რეწვიდან მუდამ დიდი ნადავლით ბრუნდებიან. ხუთწლედის მესამე წელსაც თავი ისახელეს აქაურმა მებადურებმა. წლიური გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე — 9 ათასი ცენტნერის გადამეტებით გაანაღდეს. ახალი წლისათვის კი დამატებით ათასობით ცენტნერი თევზი გაუგზავნეს მომხმარებელს.

△ რუსთავი. (საკ. კორ.). ხუთწლედის მესამე წელს ალმაცერთში ეშრომა ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის სპეცმშენის სამმართველოს (უფროსი დ. ცერცვაძე) კოლექტივმა. აქ ჯერ კიდევ 10 დეკემბრისათვის განაღდეს წლიური დავალება. შესრულებულია 2 მილიონ 800 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები.

განსაკუთრებით წარმატებით იმუშავეს სპეცმშენებლებმა ქიმიის სამრეწველო ობიექტებზე.

ახალი მილნაევების თქვენ გილოცავენ, საქართველოს წელი

Правда

ჟ. იანვრის მოწინავე

დღეს, ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს, მილიონობით საბჭოთა მშრომელი ვარჯზე დგება ხალისიანი განწყობილებით. ვხვდებოდით რა 1969 წელს, ჩვენ, როგორც ყოველთვის, ორი წლის მიჯნაზე, ვიყურებოდით წინ, ვსახავდით ახალ გეგმებს. გულთბილი საახალწლო მისალმებით მიმართეს ჩვენს ხალხს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. მათ გულითადად უსურვეს ყველა საბჭოთა ადამიანს ჯანმრთელობა, წარმატებანი და დიდი მიღწევები შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში, მათი გეგმების შესრულებაში. და აი ახლა ჩარხებთან და მანდვრად, მშენებლობათა ხარაჩოებზე და ხმამეცნიერო ლაბორატორიებში ხორცელდება ჩანაფიქრი, ხოლო ათასობით და ათასობით საქმე ერთად ჩვენი ქვეყნის ახალი ნიბიჯი იქნება კომუნიზმის გზაზე.

1968 წელმა, რომელიც ისტორიის კუთვნილება გახდა, ბევრი კარგი ნიშნები დაგვიტოვა. ჩვენს დედამიწაზე. ახორციელდა რა სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა შესანიშნავი შედეგები მოიპოვა საშეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. უფრო სრულად გაცოცხლდა სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობანი, კიდევ უფრო გაძლიერდა ჩვენი სამშობლო. გასული წლის შედეგები. ისევე როგორც ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები მთლიანად, თვითეული საბჭოთა ადამიანის სიამაყის კანონიერ გრძნობას იწვევს. ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლებით გადავაჭარბეთ ზრდის ოდენერ ტემპებს. გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო წარმოების გეგმები, რასაც ხელი შეუწყო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების ფართოდ დანერგვამ. მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის წარმატებანი. ყოველივე ამან რეალური საფუძველი ჩაუყარა ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას. ახლა საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ხუთწლედისათვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ათას ცხრაას სამოცდაცხრა წელს!

ახალი წლის პორიზონტები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის კონკრეტული ამოცანები ყოველწარიად განსაზღვრულია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით, სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით, რომელიც მოიწონეს ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განვამტკიცოთ ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გავაუმჯობესოთ შრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, ავამაღლოთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობა და კულტურა.

დიდი მასშტაბები, დიდია გაკანები საბჭოთა ხალხის ახალი მიღწევებისა. შეეხედეთ წლის ახალშენებათა რუკას, რომელიც დღეს „პრავდაში" გამოქვეყნდა. რაოდენ ხშირია ბიჯი ქსელი ჩვენი სამშობლოს სივრცეებზე! ამასთან ჩვენი ინდუსტრიის, მთელი ეკონომიკის განვითარების სწრაფ ტემპებს უნდა შევაღწიოთ არა მარტო ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების მეოხებით, არამედ უპირატესად წარმოების ეფექტიანობის ზრდის, უმდიდრესი რეზერვების გამოყენების გზით. აი რატომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ახლა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას. ეს არა მარტო ცენტრალური ეკონომიური, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა კომუნიზმის მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე.

წელი, რომელიც გუშინ დაიწყო, მიგვაახლოებს დიდ ისტორიულ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. თვითეული კომუნისტისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასია მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ლენინის სახელი. ამიტომ ასე ერთხულოვანია მილიონობით მშრომელთა მისწრაფება სახელოვანი თარიღის მოახლოება ალნიშნონ ახალი წარმატებებით მისი ანდერძის განხორციელებაში. ამ დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობით გაისმის პარტიის მოწოდება:— ვიცხოვრთო, ვიშრომოთ და გავიმარჯვოთ ლენინურად! ქვეყანაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ლენინის იუბილეს აღსანიშნავად, ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ახალი წლის პირველმა სამუშაო ცვლებმა მეტალურგიის, ქიმიის ქარხნებში და უწყვეტი ციკლის სხვა სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში გვიჩვენეს, რომ ეს მასობრივი პატრიოტული მოძრაობა კვლავაც გაძლიერდება.

მთელი პარტიის, მთელი ხალხის ხაჭმე გახდა ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა დასახა ყველა მისი დარგის დაჩქარებული განვითარების კონკრეტული პროგრამა, და წელს საფუძვლიანად უნდა გიმუშაოთ მისი განხორციელებისათვის. მრეწველობის მშრომელებმა უნდა იზრუნონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ფართოდება მიწების მელიორაციის, სოფლად მშენებლობის მასშტაბები. ყოველივე ეს ქმნის იმის წანამძღვრებს, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, უფრო სწრაფად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ მათი თავდადებული შრომა ამრავლებს საზოგადოებრივ დოვლათს, ხალხის ცხოვრების განუწყვეტლივ გაუმჯობესების წყაროა. მასების კეთილდღეობის განუხრელი ზრდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონია. პარტია და მთავრობა თანდათანობით ამორცელებენ დიდ სოციალურ ღონისძიებებს მშრომელთა ინტერესებისათვის. მოსახლეობის რეალური შემოსავალი უფრო სწრაფი ტემპებითაც კი იზრდება, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლედის დავალებებით. ახალ წელს მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა მიაღწევს 1970 წლისათვის დაგეგმილ დონეს. ბევრი რამ გაკეთდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სახინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაფართოებისათვის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ეს ახარებს და ალფრთოვანებს თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცება ჩვენს ხალხს მიაჩნია არა მარტო თავის პატრიოტულ, არამედ უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად. საბჭოების ქვეყანა თანმიმდევრულად იცავს საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეს, თანამდროვეობის მთელი პროგრესული ძალების საიმედო ბურჯია. ჩვენი მიღწევები მილიონობით საზღვარგარეთელი მეგობრის სიამაყეს იწვევს. საბჭოთა ადამიანები კი ამაყობენ იმით, რომ თავიანთი შემოქმედებითი შრომითა და ენერგიით, გაერთიანებული ძალებით აგებენ კომუნისტური საზოგადოების დიდებულ შენობას — მთელი კაცობრიობის მომავალს.

იწყებს რა ხუთწლედის მეოთხე წელს, ჩვენი ხალხი, კომუნიზმის პირველმშენებელი კვლავ მკაფიოდ ცხადყოფს უძლეველ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას თავისი აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მძლავრ შრომითს ოჭახად, ძმური მეგობრობითა და საერთო იდეალებით სამუდამოდ შეკავშირებული საბჭოთა ადამიანები რწმენით შეკაყურებენ მომავალს: ჩვენ გვაქვს ნათელი მიზანი, სწორი გზა, ჩვენ მიგვიძღვის ნაცადი მესაჭე — დიდი ლენინური პარტია. და 1969 წელი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა წელი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1968 წლის 30 დეკემბერს 72 წლის ასაკში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი სკკპ წევრი 1917 წლიდან, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი კირილე აფანასეს-ძე მერეცკოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

თქვენ გილოცავენ, საქართველოს სოფლის სახელოვანო ადამიანებო!

სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ დაჯილდოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით. დიპლომები მიეკუთვნა აბრეთვე რესპუბლიკის 141 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. მინდვრის, კლანტაციებისა და ფერმების 715 მშრომელი დაჯილდოებულია გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ამ ცნობას, რომელიც ჩვენი ბაზეთის საახალწლო ნომერში დაიბეჭდა, რესპუბლიკის მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ.

თქვენი გამარჯვებისა!

ქართველი კაცი ოდითგანვე შრომისმოყვარეა. მაგრამ არასოდეს მის ისე არ დაფასებია შრომა, როგორც ეს ჩვენს დიად დღეებში ხდება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ერთხელ კიდევ გაგვახარა ჩვენმა სოფელმა. თავდადება სოფლის მეურნეობის მუშაკებისა, მინდვრის, პლანტაციების, ფერმების მშრომელებისა. გამარჯვებით დაგვირგვინდა, მათ ბედნიერი ახალი წელი გაუთენდათ. ახალი წლის წინ ყველა გაგვახარა მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ: სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტის გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველო დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.

თქვენი გამარჯვებისა იყოს, ამხანაგებო!

კონსტ. ბერიასთავი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი.

ქვეყნის სასიკეთოდ

სასიხარულო ამბავი შევიტყე ახალი წლის დამდეგს, და ზეიმს მეტი ლაზათი შეემატა... მშრომელი კაცი თავის ნაამაგარს როცა შეჰყურებს, გული სიამით ევსება, თვალებში ზნის სხივები უკრთის; როცა მარჯვენას დაულოცავენ, ბარაქას ზნო ემატება. ეს გამარჯვებაც უფრო ლამაზია და ნამანდობლივი, რადგან საკვეყნოდ აღნიშნეს, ალიარეს, საქართველოს მშრომელებს შრომა და გარჯა დაუფასეს, მარჯვენა შეუქეს.

თქვენი გამარჯვებით მიღებული სიხარული მთელი ჩვენი ქვეყნის გამარჯვება და სიხარულია. მომავალშიც ასე თავდადებით ზრუნავდეთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ასევე ახარებდეთ ბარაქიან წმიდა ქართულ მიწას. ის თაყვანს უცემენ თქვენს ზრუნვასა და სიყვარულს.

სერგო კლდიაშვილი.

ბამირის მეცხუთე

ჰიდროელექტროსადგურმა მისცა დენი საბჭოთა ბადეშინის მთის რაიონებს. ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე ამუშავდა შეჯარტის ჰიდროელექტროსადგური. 2 იანვარს მდინარე ბარტანგის წყალმა აამძრავა სადგურის პირველი აგრეგატი, აინთო პირველი ელექტრონათურები.

დიდი გეგმებით შეეგებნენ ტაჯიკელი ენერგეტიკოსები ახალ წელს. ელექტროენერგიის გამომუშავება სამ მილიარდს გადააჭარბებს. მწყობრში ჩადგება ივანის თბოელექტროცენტრალისა და ბამირის რეკონსტრუირებული ვ. ი. ლენინის სახელობის ხორგის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები.

ჩქარი ტემპით გრძელდება მაღალმთიანი ყიშლაყების ელექტრიფიკაცია. რესპუბლიკის ენერგეტიკოსებმა გადაწყვეტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს შეხვდნენ ამით, რომ სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართონ ტაჯიკეთის ყველა თბილი რაიონი. (საკ. კორ.).

დუშანბე.

1969 წლის პირმშოები

ფერგანა, 2 იანვარი. (საკ. ინ.). ხელი მოაწერეს სახელმწიფო აქტს ფერგანის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ. შესანიშნავი შეფასებითაა მიღებული სუსტი აზოტმჟავის საამქრო, ამაყის წარმოება, გრანულირების კოშკი და სხვა ობიექტები.

ქარხნის მეორე რიგის ამუშაებით მინერალური სასუქების წარმოება აქ ერთიორად გაიზრდება.

ბუხარა, 2 იანვარი. (საკ. ინ.). უზბეკეთის პირველ სამელიორაციო სატუმბაგ სადგურში, რომლის მშენებლობა ახალი წლის წინ დამთავრდა, დღეს დაიწყო მძლავრი აგრეგატების გასინჯვა. სადგური მოთავსებულია ყარაყულის მთავარი კოლექტორის ტრასაზე, რომელიც 16 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწებიდან კრებს გრუნტის წყალს.

ახალი გაჯეთი

კიშინიოვი, 2 იანვარი. (საკ. ინ.). გამოვიდა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთი „ვეაცა სატულუის" („სოფლის ცხოვრების") პირველი ნომერი. იგი გამოდის მოლდავიურ ენაზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის ინტელიგენციისათვის. გაზეთის პირველ ნომერში გაშუქებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ამოცანები ხუთწლედის მეოთხე წელს, მოლდავეთის სოფლის შესანიშნავი ცხოვრება.

სკკპ დელეგაცია ავსტრიის კომპარტიის XX ყრილობაზე გაემგზავრა

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 2 იანვარს ავსტრიის კომპარტიის XX ყრილობაზე ვენაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ხ. პაპუტინი.

ბაუმის ბ-144 ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი

საკლესიის ცნობა

მსოფლიოში პირველად 1968 წლის 31 დეკემბერს საბჭოთა კავშირში ფრენა შეასრულა ზებგერითმა სამგზავრო თვითმფრინავმა ტუ-144-მ.

თვითმფრინავი ტუ-144 მგზავრებს გადაიყვანს საათში 2 500 კილომეტრი კრეისერული სიჩქარით. ფრენაში შემოწმებულ იქნა თვითმფრინავის სისტემათა მუშაობის უნარიანობა, მათ შორის მართვის, აგრეგატებისა და ძრავების ავტომატური სისტემა. საკონტროლო აპარატურის მონაცემებით, თვითმფრინავის ბორტის მოწყობილობა და მართვა ნორმალურად მუშაობდნენ.

თვითმფრინავს პილოტობდნენ ბომალდის მეთაური, დამსახურებული გამომცდელი მფრინავი ედუარდ ვაჰანის-ძე ელიანი, გამომცდელი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ვასილის-ძე კოზლოვი, წამყვანი ინჟინერი-გამომცდელი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ბენდეროვი და ბორტ-ინჟინერი იური ტროფიმეს-ძე ალეიევრსტოვი.

თვითმფრინავი კვლავაც შეასრულებს ფრენას დასახული პროგრამით.

ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის ტუ-144-ის პირველი ფრენა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევაა, დიდი წვლილია საბჭოთა თვითმფრინავმშენებლობის განვითარებაში ავიაციის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების გზაზე.



ტუ-144 აფრენისას.

ფოტო „იზვესტიის" სპეციალური კორესპონდენტის ი. სურატოვისა.

მსოფლიოში პირველი

უცნაურია ეს თვითმფრინავი. სამკუთხა ფრთა დაწეული აქვს უკან, ბოლოსაკენ. მისი წინა ნაწიბური ბასრია (ხელი რომ დაეჭირო, გეტკინება). მანქანის სიჩქარე უდიდესია. ორჯერ და უფრო მეტად უსწრებს ბგერას. სწორედ ამიტომ დასჭირდა მას გრძელი წვეტიანი ცხვირი, პილოტებისათვის კი ავრენისა და დაჯდომისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ხილვადობა. ამიტომ კონსტრუქტორებს ცხვირის ნაწილი გადასასხვრელი გაუკეთებიათ. ცაში ეს ფრინველი თავის ჭკვიან თავს მაღლა ასწევს.

გიგანტის ტანი აგებულია ალუმინის განახლებული, უფრო მკვიდრი, მაგრამ მაინც იმავე ძველებური კარგი შენადნობებისაგან, ამდენი ათეული წლის მანძილზე ერთგულად და სიმართლით რომ ემსახურებიან ავიაციას. მაგრამ „ზებგერისას" თვითმფრინავის გარეთა კედელი უკვე 130-150 გრადუსამდე გახურდება. ხოლო მობრუნების საქვები, ელევონები (აქ ისინი ელერონების როლსაც ასრულებენ და სიმაღლის საჭისასაც) უბრალოდ კი არ სრიალებენ ნაკადში, არამედ გადაიხრებიან, მუშაობენ — კიდევ უფრო მეტი ტემპერატურების ზონაშიც მოხვდებიან. ტუ-144-ზე ისინი გაკეთებული არიან ტიტანისაგან.

ადამიანი ჩაჯდება ამ ზებგერითს ტუ-144-ში, და 2 საათსა და 20 წუთში დელიდან გადმოფრინდება მოსკოვში, 3 საათსა და 20 წუთში — მოსკოვიდან გადაფრინდება ხაბაროვსკში. მისი ჩვევა გახდება გაუსწროს ბგერას, გაუსწროს მზეს. მოსკოვიდან დღის 12 საათზე გაფრინდება და მონრეალში დილის — იმავე დილის! — 9 საათზე დაეშვება.

სამგზავრო მანქანების თავისებურებაა სამსახურის გრძელი ვადა, დიდი რესურსი. ტუ-144 გაანგარიშებულია 30 ათასი საათი ფრენისათვის. ეს ათი წლის საიმედო სამსახურია.

ახალი ნელი ენგურზე

ოთხმოცი კილომეტრზე, ზღვასა და მთებს შუა გადაჭიმული მსოფლიოში უნიკალური ჰიდროელეკტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლობა. ენგურჰესის სიმაღლეზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: იგი მთლიანად ამუშავების შემდეგ 70 ზაპჰესის ტოლი იქნება! მარტო თაღოვანი კაშხალის ასაგებად საჭირო სამნახევრამდე მილიონი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმა, მაშინ როცა საქართველოში არსებული ყველა ჰიდროელეკტროსადგურის აგებას 18 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი დასჭირდა.

ენგურჰესზე მთლიანად 16 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები შესრულდება. მისი სიმაღლეზე მილიონ 640 ათასი კილოვატი იქნება და წელიწადში ხუთნახევარ მილიარდამდე კილოვატ-საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.





გეგმა — ვადამდე

ძალოვანი კვანძის ანუ „რეკორდების სამმართველოში“ (უფროსი ა. ცინობილაძე), როგორც მას მშენებლები ეძახიან, დიდი შრომითი წარმატებებით შეეგებნენ ხუთწლედის მეოთხე წელს. აქ ვადაზე ადრე გაანადღეს წლიური გეგმა. შესრულებულია 5 მილიონ 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო და მიწისქვეშა სამუშაოები.

მშენებლებმა ახალი ვალდებულება იკისრეს — წელს კონსტიტუციის დღისათვის, 5 დეკემბრისათვის შესრულონ 5 მილიონ 500 ათასი მანეთის სამუშაო, რაც შარშანდელ წლიურ გეგმას 300 ათასი მანეთით აღემატება.

სამმართველოს მშენებლებმა 2 იანვარს 4 ათასი მანეთისაზე მეტი მიწისქვეშა სამუშაოები შეასრულეს. დაწინაურდნენ: გ. კუპუხიძის და მ. ჭოკაის გვირაბგამყვანთა უბნები. მაღალი შრომითი წარმატებებით აღინიშნეს ახალი წლის მეორე დღე გ. გუგავამ, ე. გაგნიძემ, ტ. ლაზარუკამ და სხვა მოწინავე გვირაბგამყვანებმა.

დიდი გადამეტებით

ძარბი საწარმოო მაჩვენებლებით შეიკრება ახალ წელს ენგურჰესის „საგზაო მშენებლობის სამმართველო (უფროსი ვ. ყორიოლაძე), რომელმაც ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ ნახევარში გაანადღა წლიური გეგმა. ათასობენელი იქნა 5 მილიონი მანეთის ღირებულების სამუშაო. გაყვანილია 22 კილომეტრი მოსამზადებელი და 20 კილომეტრი მოხრეშილი გზა. ჩაწყობილია 21,6 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონი, შესრულებულია 10.500 კუბური მეტრი მიწისა და კლდის სამუშაო. კარგად გაისარჯნენ: საგზაო მშენებლობის პირველი უბანი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ა. ჩალაძე ხელმძღვანელობს, და მეორე უბანი (უფროსი ს. რიონიშვილი).

სამმართველოს კოლექტივმა საახალწლოდ გეგმის გადამეტებით მილიონი მანეთის სამუშაოს შესრულება უპატაჯა სამშობლოს.

საგზაო მშენებლებს არც მეტანიზებული სამუშაოების სამმართველოს (უფროსი ალ. დიასკინი) კოლექტივი ჩამორჩა, რომელმაც 22 დეკემბრისათვის გაანადღა წლიური დავალება. შესრულებულია 2 მილიონი მანეთის სამუშაო. აქ დაწინაურდა არხგამყვანთა უბანი (უფროსი ბ. პაქსაშვილი).

სამმართველოს კოლექტივის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მოსიარულე ექსკავატორის ეკიპაჟმა (მეთაური სოციალისტური შრომის გმირი ვ. სალამატოვი), რომელმაც მილიონ 300 ათასი კუბურ მეტრზე მეტი მიწა ამოიღო ენგურის სადინი არხიდან.

120 პროცენტით

ბალი შრომითი მიღწევებით დამთავრეს გასული წელი გვირაბმშენის სამმართველოს მეორე უბნის გვირაბგამყვანებმა, რომლებსაც ახალგახრდა ინჟინერი თ. ნადირაძე თაეკცობს. უბანმა შარშან 1 მილიონ 500 ათას მანეთისაზე მეტი მიწისა და კლდის სამუშაო შესრულა. გაყვანილია 1.000 მეტრზე მეტი დიდი კვეთის გვირაბი, რაც წლიური გეგმის 120 პროცენტს შეადგენს. უბნის კოლექტივის ავანგარდშია ი. ნარიმანიძის გვირაბგამყვანთა ბრიგადა, რომელიც საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელია.

ერთ დღეში...

ვარდნილავს № 1-ის ჰიდროელექტროსადგურის შენობის საძირკველში ახალი წლის მეორე დღეს ბ. ნარმანიას მებეტონეთა ბრიგადამ 200 კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხა. ხუთწლედის მეოთხე წლის მეორე დღე მაღალი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს მოწინავე მებეტონეებმა ჯ. გამსახურდიამ, ნ. კილანავამ, ლ. დადიანმა, ნ. შონიამ, ჯ. ცატავამ და სხვ. ქვაბულს ბეტონს აწვდიდა რეკორდსმენი მძღოლი ბ. გალდავა. მებეტონეთა ბრიგადის ახალი ვალდებულებაა ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავროს წლიური გეგმით კათვალისწინებული 24 ათასი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმა ქვაბულში.

ურემონტოდ

ენგურჰესის მშენებლობაზე კომკავშრომელ საგზურით 1963 წელს ჩამოვიდა გიგიჩკორის რაიონის სოფელ ბანძიდან ბიჭიკო გალდავა და 27-ტონიანი მანქანა ჩაიბარა. მას შემდეგ, ყოველგვარ ამინდში, ზამთარ-ზაფხულ, დაეჭროლებს. ეგი თავის „რაზს“, რომლითაც ათასობით კუბური მეტრი ბეტონი მიაწოდა ვარდნილავსის მშენებლებს, თავისი მანქანით ბ. გალდავამ ენგურჰესის მშენებლობაზე ურემონტოდ 200.000 კილომეტრი გაიარა. იგი აჭ პირველი მძღოლია, რომელმაც 5 წელიწადში ეს მანძილი უფავრიოდ და ოკაპრემონტოდ განვლო.

მაგრამ გასული წლის 26 ნოემბერი რეკორდსმენი მძღოლის მეხსიერებაში ძნელად წაიშლება. ამ დღეს მას პატივი დასდეს პირველს ჩაესხა ბეტონი ვარდნილავსის № 1-ის კაშხლის ქვაბულში. დღეისათვის კი მის ანგარიშზე 10.000 კუბური მეტრი გადაზიდული ბეტონი ითვლება. მოწინავე მძღოლის გადაწყვეტილებაა თავისი მანქანით 1970 წელს ვარდნილავსის № 1 კაშხლის მშენებლობის დამთავრება ისე იზეიმოს, რომ მანქანას „ტაბლეტი“ არ დასჭირდეს.

ავტომანქანის ტექნიკური სრულყოფისათვის სისტემატურმა ზრუნვამ მარტო ეს სიკეთე რომ მოუტანა ბ. გალდავას. მისი ყოველთვიური გამომუშავება 500 მანეთს აღემატება.

საახალწლო შრომის ვახტზე რეკორდსმენმა მძღოლმა ბევრი მიმდევარი შეიძინა.

ლ. ბარქაია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

სურათებზე: მძლავრი მანქანები მუშაობენ მომავალი 270 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხლის ქვაბულის ამოღებაზე, აქედან ყოველდღიურად ათასობით ტონა მიწა მიაქვთ 27 ტონიან თვითსაცლელებს, რომლებსაც სამამულო ექსკავატორები ტვირთავენ (სურათზე ზემოთ).

ლაჯანურჰესის მშენებლობიდან მოვიდა ენგურჰესზე გ. ჯინჭარაძე (ქვემოთ). იგი ამჟამად ენგურჰესის მშენებლობის № 8 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლია და 27-ტონიან თვითსაცლელზე მუშაობს 190-200 პროცენტი — ასეთია მისი დავალების შესრულების ყოველდღიური მაჩვენებელი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

„კომუნისტის“ სიგნალებზე

რედაქციას უპასუხებს ბაბტრიდის რაიონსაბჭოს აღმასკომი

კრიტიკული წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, ეხებოდა სამტრედიის ზოგიერთ სოფელში გზების კეთილმოწყობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონსაბჭოს აღმასკომი რედაქციას წერს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი სათაურით „სიგნალები უყურადღებოდ“, რომელიც შეეხება იანეთ-ბაშის გზაზე სამუშაოების გაჭიანურებას, სინამდვილეს შეეფერება.

საგზაო განყოფილებამ იანეთ-ბაშის გზაზე გაჭიანურა შავი საფარის დაგება, გზის შუა ნაწილში ერთ კილომეტრზე შავი საფარი საერთოდ არ არის.

შესრულებული სამუშაოები ბევრგან უხარისხოა, შავი საფარის დაგებამდე გზა არ არის პროფილში მოყვანილი, რის შედეგად მისი სისქე მეტნაკლებია ნორმასთან შედარებით, ხოლო ერთ ადგილას პირველი ფენა აურილია. გზის ორივე მხარეზე არ არის გაყვანილი წყლის საწრეტი არხები.

აღნიშნული საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და დასაბა ღონისძიება, რომ გზა მოყვანილ იქნას წესრიგში.

იანეთ-ბაშის გზაზე სამუშაოების გაჭიანურებისა და მთელი რიგი სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებისათვის, საგზაო განყოფილების გამგეს გ. კვანტალიანს და ინჟინერ ო. ალამიას გამოეცხადა საყვედური.

◆

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

ცხაკაიაში ტელეფონების ცუდ მუშაობას ეხებოდა იუმორესკა, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ნ. ჩხიკვაძე გვწერს:

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ ცხაკაიაში მიავლინა სპეციალისტები, რომლებმაც აღადგინეს რთული ხასიათის დაზიანების მქონე ტელეფონები.

ამჟამად კავშირგაბმულობის სამტრედიის საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძი უწევს დახმარებას ცხაკაიას კავშირგაბმულობის მუშაკებს დაზიანებული საკაბელო მეურნეობის აღდგენაში.

◆

რედაქციას უპასუხებს ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის დირექტორი

ჩვენი გაზეთის მოწინავე წერილში „რეზერვების მობილიზაციით“, მოხსენებული იყო ახალდაბის სამინისტროს ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მიერ ჩატარებული პროდუქციის ხარისხის შემოწმების შედეგები. ფაბრიკის მიერ დამზადებული 11 ცალი ტანისამოსის კარადიდან 6 ცალი უხარისხო აღმოჩნდა და ხელმორედ შესაკეთებლად იქნა დაბრუნებული.

იმასთან დაკავშირებით ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის დირექტორმა ხ. კოკნაძემ გაზეთ „კომუნისტს“ რედაქციას აცნობა, რომ აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება, ფაბრიკის ხელმძღვანელობამ შეისწავლა პროდუქციის უხარისხობის გამომწვევი მიზეზები და შემდგომში ავეჯის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

კომკავშირული ცხოვრება

ქამეთა გზით

ჩვენ შემთხვევით როდი აღვმოვჩნდით კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტში. დაგვავალეს გაზეთში გაგვეშუქებინა მეშახტე ახალგაზრდების ცხოვრება და ვეწვიეთ ქვანახშირის მუშაკთა სახელოვან ქალაქს. ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე ანგარიშს აკითხავენ ამ ორგანოს მდივანი ბ. ბუაძე, ინსტრუქტორი ა. ბაბუაშვილი, ბიუროს წევრი ალ. ბერიძე, ინსტრუქტორი ნ. ბოლქვაძე

საერთაშორისო ცხოვრება

ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა

პრაღა, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ თანახმად პირველი კონსტიტუციური კანონისა ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ 1969 წლის 1 იანვარს დანიშნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი მთავრობა ასეთი შემადგენლობით:

ო. ჩერნიკი — მთავრობის თავმჯდომარე.

პ. ცოლტაკი — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ს. ფალტინი — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ფ. გამოუზი — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ვ. ვალეში — მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

ი. შარკო — საგარეო საქმეთა მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი მ. ძური — ეროვნული თავდაცვის მინისტრი, ი. პელნარჟი — შინაგან საქმეთა მინისტრი, ფ. ვლასაკი — დაგეგმვის მინისტრი, ბ. სუხარდა — ფინანსთა მინისტრი, ი. ტაბაჩეკი — საგარეო ვაჭრობის მინისტრი, მ. შანცელი — შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი.

ი. ტიპოლტი — მინისტრი, თასკების კომიტეტის თავმჯდომარე, მ. გრუშკოვიჩი — მინისტრი, ტექნიკური და კაპიტალური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე, ი. კრეიჩი — მინისტრი, მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარე, კ. ბოდია — მინისტრი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის კომიტეტის თავმჯდომარე, ფ. რუეგაკი — მინისტრი, ტრანსპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, მ. სმოლკა — მინისტრი, ფოსტისა და კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარე, ი. გაველკა — მინისტრი, ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. კუჩერა — მინისტრი, ი. პაული — მინისტრი.

ვ. პლესკოტი — საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ი. მაიერი — შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ი. კრაუსი — დაგეგმვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ი. გაიდოშიკი — ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ლ. უბლი — საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ვ. ბრაბეცოვა — შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო მდივანი ერთვნული თავდაცვის სამინისტროში დამატებით დაინიშნება.

გამოცხადდა სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკა

პრაღა, 2 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ კანონის საფუძველზე 1969 წლის 1 იანვარს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკა. ზეიმი გაიმართა საადღესასწაულოდ გაჩირაღდნებული, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო და სლოვაკეთის ეროვნული ალმებით მორთულ ბრატისლავისგრაფში.

ზუსტად შუადამისას გაისმა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია და მიცემულ იქნა საარტილერიო სალუტი. ფედერაციის დარბაზში შეიკრიბნენ სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ ო. კლოკოჩამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სლოვაკი ხალხი, ხელმძღვანელობს რა ერთობის პრინციპით, მოიმე ჩეხ ხალხთან სრული თანხმობით კვლავაც განაგრძობს სოციალისტური სამშობლოს მშენებლობას.

სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკა მდებარეობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის აღმოსავლეთით, მას უკავია ჩეხოსლოვაკიის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 40 პროცენტი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 14.3 მილიონი მცხოვრებიდან 4,5 მილიონზე მეტი სლოვაკეთში ცხოვრობს. ახალი სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 1.750 ათასი მშრომელი, აქედან 500 ათასზე მეტი — მრეწველობაში.

სლოვაკეთის მთავრობა

პრაღა, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ კონსტიტუციური კანონის თანახმად, პრეზიდიუმმა დანიშნა სლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა.

მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნულია შტეფან სადოვსკი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებად — იულიუს ჯანუში და იოზეფ ზრაკი.

ნეოფაშისტთა გამოხდომა

რომი, 2 იანვარი. (საკდესი). ახალი პროვოკაციული გამოხდომა მოაწყვეს „იტალიის სოციალური მოძრაობის“ ნეოფაშისტებმა. ნეაპოლში წუხელ ბანდიტები შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ იტალიის კომუნისტური პარტიის სექციის შენობისათვის. მაგრამ ადგილობრივმა კომუნისტებმა თავიდან აიცილეს ხანძარი.

ძველის ლაცვის ლონისძიებანი

ბეირუთი, 2 იანვარი. (საკდესი). ისრაელი განაგრძობს თავის პროვოკაციულ აქციებს ლიბანის წინააღმდეგ. როგორც ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ისრაელის საჰაერო თვითმფრინავებმა 31 დეკემბერს სადამოს კვლავ დაარღვიეს ლიბანის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, პროვოკაციულად დაესხნენ თავს მის სამხრეთ რაიონებს. ამასთან დაკავშირებით მოიწვიეს ლიბანის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა პრეზიდენტ ჰელუს თავმჯდომარეობით და ლიბანის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

როგორც „დეილი სტარი“ იუწყება, სხდომაზე განიხილეს ჭარიჩის თავდაცვის უბრუნველყოფის ღონისძიებანი და მიიღეს გადაწყვეტილება ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის ახალი შესაძლო აგრესიული აქციების მოსაგერიებლად შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო აგრეთვე ლიბანის პარლამენტის საგანგებო სესიამ.

დე გოლის განცხადება

პარიზი, 2 იანვარი. (საკდესი). პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა დარბაზობა გაუმართა დიპლომატიური კორპუსის წევრებს ელისეს სასახლეში. პრესა აღნიშნავს, რომ დარბაზობაზე დე გოლმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის მოქმედება, რომელიც თავს დაესხა ბეირუთის აეროპორტს. შეეხო რა „კოხფლოტებს აზიაში, აღმოსავლეთსა და აფრიკაში“, დე გოლმა დაგმო, კერძოდ, „შეუწყნარებელი ძალადობის აქტები, მაგალითად, ის, რაც ამას წინათ ჩაიდინეს ერთი სახელმწიფოს რეგულარულმა ძალებმა საფრანგეთის ტრადიციულად მეგობრული მშვიდობისმოყვარე ქვეყნის სამოქალაქო აეროდრომზე“.

გაზეთები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ სიტყვის დასასრულს დე გოლი მივიდა ლიბანის პარიზელ ელჩთან და აღუთქვა საფრანგეთის „სრული მხარდაჭერა“.

ბაღლოდ

ფაქტები

● პრაღა, 2 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩეხოსლოვაკიაში მყოფი ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით 31 დეკემბერსა და 1 იანვარს განაგრძობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობას. დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიულ მუშაკებს. გუშინ დელეგაცია ეწვია დაბა ლიდიცეს კლადნოს მახლობლად და დაათვალიერა ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა ძეგლი-მუზეუმი.

● პარიზი. (საკდესი). საბერძნეთში დაპატიმრეს და სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიცემის 29 კაცი.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქიდან, ისინი რეპრესირებული არიან იმის გამო, რომ მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციაში მიეტნამში მშვიდობის დამყარებისათვის. დაპატიმრებულთა შორის 23 სტუდენტი და ორი პროფესორია.

● ჰანოი. (საკდესი). 2 იანვარს ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა ჩამოაგდეს ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც შეიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჰაბაკის პროვინციაში.

როგორც ვიეტნამის სინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცის გმირი დამცველების მიერ ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების რიცხვმა 3.258-ს მიაღწია.

● ვაშინგტონი. (საკდესი). ფლეანდლ საფინანსო ფელს, რომელიც 1969 წლის 30 ივნისს მთავრდება, პენტაგონის ასიგნებანი ვიეტნამში ბინძური ომის წარმოებისათვის ბათვალისწინებულია 26,3 მილიონი დოლარის მოცულობით. მაგრამ ეს უზარმაზარი თანხაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ამერიკის მეზღვაურთა საჭიროებისათვის. ახლა არის მითითებანი იმის შესახებ, რომ ეს თანხა შესაძლოს თვეებში გაადიდდეს.

● კაირო. (საკდესი). აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციამ აფრიკა-აზიის პატრიოტული განმათავისუფლებელ ორგანიზაციათა (კაირო) წარმომადგენლებთან ერთად გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გმობს ისრაელის ხარბარასულ თავდასხმას ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტზე.

ისრაელის ეს აგრესიული აქტი, ხაზგასმულია განცხადებაში, ამცირებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის შანსებს.

უნდა ავლაგმოთ გათავხედებული აგრესორები

ნიუ-იორკი, (საკდესი). 30 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო კვლავ განიხილავდა ისრაელის მხედრიონის ახლო აღმოსავლეთში ჩადენილი აღმაფფოთებელი დანაშაულის საკითხს.

როგორც ვიუწყებოდით, 28 დეკემბერს ისრაელი დივერსანტები ავაზაკურად დაესხნენ თავს ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტს და მოსპეს ლიბანისა და მთელი რიგი სხვა არაბული სახელმწიფოების სამოქალაქო თვითმფრინავები.

ლიბანის დელეგაციის მეთაურმა ფუად ბუტროსმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ისრაელის მოულოდნელი თავდასხმა ლიბანის მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოზე აგრესიის ყოვლად გაუმართლებელი აქტია და საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობასა და უშიშროებას. ისრაელის აგრესიული მოქმედება ლიბანის წინააღმდეგ გადაჭრით უნდა დაგმონ უშიშროების საბჭომ, მთელმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, როგორც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ახალი ვერაგული დარღვევა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაბაიბრუება.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა აღნიშნა, რომ შეიარაღებული პროვოკაციები, რომლებიც ამ ბოლო თვეებში ჩაიდინა ისრაელის მხედრიონმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შემდეგ აორდანიის, ახლა კი ლიბანის წინააღმდეგ, იზოლირებული ინციდენტები კი არა, არამედ მეზობელ არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ აგრესიის პოლიტიკის ახალი ეტაპია.

ისრაელის აგრესიის აღკვეთა, ბაზი გაუსვა ი. ა. მალიკმა, ბევრად არის დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე. ინგლისის მთავრობასაც, სურვილი რომ ჰქონოდა, აგრეთვე შეეძლო განეხორციელებინა ღონისძიებანი, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენდნენ ისრაელის მთავრობაზე.

ისრაელის ახალი აგრესიული მოქმედება, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, უშიშროების საბჭოსაგან მოითხოვს განახორციელოს შემდგომი და უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი. ისრაელის აგრესია გადაჭრით უნდა დაგმოთ და საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებანი, რათა მომავალში აღიკვეთოს ისრაელის აგრესიული, ავაზაკური მოქმედება.

საბჭოს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პაკისტანის, კანადის, დანიისა და საუდის არაბეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაგმეს ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიული მოქმედება.

მიუნხენი მარტო ისტორია რჩება

ლონდონი, 2 იანვარი. (საკდესი). ინგლისში, თანახმად არსებული ტრადიციისა, ხანდაზმულობის 30 წლის ვადის გასვლასთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს მთავრობის დოკუმენტები 1938 წლისა, ამის გამო დამბეჭდილ სტატიაში გაზეთი „მორნინგ სტარი“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შორის არ არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ჩემბერლენისა და ჰიტლერის მიუხედავ შეთანხმებას. „ხომ არ ცდილობს ვინმე დაფაროს რაღაც?“ — კითხულობს ამასთან დაკავშირებით გაზეთი.

მაგრამ უამდოკუმენტოდაც, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, გამოქვეყნებული მასალები საკმაოდ ფიქრს შეაქმნიან ჩემბერლენის გამცემლურ როლზე, რომელიც „აშოშმინებდა გერმანიის ფაშისტურ და მილიტარისტულ ძალებს, თავალს არიდებდა ამ ძალების ზრდას და უარი თქვა სხვა მთავრობებთან ერთად ეხმარა რაიმე ღონისძიება ფაშისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ“. მიუხედავ ამისა, ინგლისის მთავრობასაც, სურვილი რომ ჰქონოდა, აგრეთვე მათს აგრესიულ მისწრაფებებს, რომლებიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ“.

აშშ-ის მოსახლეობა

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 1969 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 202.254.000 კაცს. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურო.

ფოტოეკრანი

● ეკვადორის ბევრი პროვინცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვალვის გამო დიდ ხიძნელეებს განიცდის. სოფლის მცხოვრებლები იძულებული არიან წყალი რამდენიმე ათეული კილომეტრიდან მოიტანონ.

სურათზე მარჯვნივ: ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლები იმარაგებენ წყალს.

* * *

● ათასობით არაბულმა ოჯახმა დატოვა მშობლიური მიწა-წყალი ისრაელის აგრესიის გამო.



სურათზე: პალესტინელ ბიზანთა კარვების ქალაქი ამანი დან (იორდანია) 25 კილომეტრის დაშორებით.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

● აშშ. სათამაშოების მაღაზიებში სულ უფრო ხშირად ნახავთ მინიატიურულ ტყვიამფრქვევებს, ტორპედიან კატარღებს, ბომბდამშენებს „ბ-52“, ხაზინიტო და რაკეტულ იარაღს.

სურათზე: ასე გამოიყურება ნიუ-იორკის სათამაშოების მაღაზიების ვიტრინების უმრავლესობა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ფამ ვან დონგი: უდიდეს გამარჯვებათა წელი

ჰანოი, 2 იანვარი. (საკდესის კორ.). „1968 წელი უდიდეს გამარჯვებათა წელი იყო და დაიწყო ახალი ეტაპი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ვიეტნამელი ხალხის ომში. განუწყვეტელმა ეენერალურმა შეტევამ და საყოველთაო აჯანყებამ სამხრეთ ვიეტნამში, რომლებიც გაზაფხულის დიდი გამარჯვებებით დაიწყო, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვებამ ომში, რომელსაც შეერთებული შტატები აწარმოებს ვიეტნამის განადგურების მიზნით, რისთვისაც იყენებს ავიაციასა და საზღვაო ფლოტს, აიძულეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უშენიშვნოდ შეეწყვიტა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და მისთვის ცეცხლის დაწინა, მათ შედეგად გაიმართება ოთხმხრივი თათბირი პარიზში ვიეტნამის საკითხზე“, — განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა, როცა უპასუხებდა საკდესის კორესპონდენტის შეკითხვებზე.

1968 წელს მოპოვებულმა უდიდესმა და ყოველმხრივმა გამარჯვებებმა, თქვა ფამ ვან დონგმა, ახალი შესაძლებლობანი, ახალი ხელშემწყობი პირობები შეუქმნეს ჩვენს ვიეტნამელ ხალხს, რათა გაეძლიერებინა ბრძოლა სამ ფრონტზე, — სამხედრო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ფრონტებზე მათი მჭიდრო თანამოქმედების პირობებში, რათა მიაღწიონ სრულ გამარჯვებას, დაამარცხოს აგრესიულ ომში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, დაიცვას ჩრდილოეთი, გაათავისუფლოს სამხრეთი, მშვიდობიანად გააერთიანოს სამშობლო.

ახლა ვიეტნამში ისეთი მდგომარეობაა, რომ თუმცა შეერთებული შტატები დამარცხდა, მას ჯერ კიდევ არ აუფია ხელი აგრესიულ ზრახვებზე. ვიეტნამელმა ხალხმა კვლავაც გააფთრებით უნდა იბრძოლოს, დაძლიოს ბევრი სიძნელე, გაიღოს მრავალი მსხვერპლი, მაგრამ იგი აუცილებლად მოიპოვებს სრულ გამარჯვებას.

თუმცა, ამერიკელი იმპერიალისტები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, ისინი ჯერ კიდევ გვემუქრებიან ფართო მასშტაბით განაახლონ დაბომბვა და ყოველდღე განაგრძობენ მოქმედებას, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და უშიშროების ხელყოფაა. ჩვენ გამუდმებით ფხიზლად და საბრძოლოდ გამზადებული ვართ, რათა მოვიგერიოთ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ეს მოქმედება, მტკიცედ ვიცავთ სოციალისტური ბანაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფორპოსტს.

შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად ჩვენს სამხრეთელ თანამემამულეთა ახლანდელი პოლიტიკური ბრძოლა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ყველა ხელსაყრელი პირობა აქვს მძლავრი და ფართო განვითარებისათვის. მთელ სამხრეთ ვიეტნამში, განსაკუთრებით საიგონსა და სხვა ქალაქებში, ძლიერდება მილიონობით ადამიანის მოძრაობა, რომლებიც მოითხოვენ საიგონის ახლანდელი მარიონეტული ადმინისტრაციის დაშლას, მის შეცვლას მშვიდობიანი „მინისტრთა კაბინეტით“, რომელიც დაიწყებს საუბრებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან, აიძულებს შეერთებულ შტატებს მთელი თავისი ჯარები და სატელიტი ქვეყნების ჯარები გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან, შექმნის კოალიციურ მთავრობას, განახორციელებს სამხრეთ-ვიეტნამელი ხალხის მიზნებს — მიაღწევს დამოუკიდებლობას, დემოკრატიას, მშვიდობას, ნეიტრალიტეტსა და აყვავებას.

თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნამდვილად სურს შედეგიანი საუბრები, ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა, აღნიშნა შემდეგ ფამ ვან დონგმა, მან მთელი თავისი ჯარები და ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნების ჯარები უნდა გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან, რათა სამხრეთვიეტნამელმა ხალხმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად, უცხოთის ჩაურევლად. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საპატიო მოწყალრიგების გზა. თუ ამერიკის შეერთებული შტატები უახლოეს დროში არ დაადგა ამ გზას, მას მხოლოდ და მხოლოდ უფრო მძიმე დამარცხებათა პერსპექტივა მოელის.

ვიეტნამელი ხალხი, რომელიც აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ომს, იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის, ამასთან ერთად იბრძვის სოციალისტური ბანაკის უშიშროების დაცვისათვის, თავისი წვლილი შეაქვს სხვა ხალხების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოძებნის საქმეში.

ვიეტნამელი ხალხის ყველა გამარჯვება მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა ხალხებისა და მომძე სოციალისტური ქვეყნების ხალხების უდიდეს და უადრესად მნიშვნელოვან მხარდაჭერასა და დახმარებასთან, ხაზი გაუსვა ფამ ვან დონგმა. ჩვენი ხალხი დიდ პატივს სცემს და ჯეროვნად აფასებს საბჭოთა კავშირის სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. ჩვენს ხალხს ძალზე ახარებს, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამისადმი სოლიდარობისა და მხარდაჭერის ფართო მასობრივი მოძრაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა ბრეჟნევმა, თქვა შემდეგ ფამ ვან დონგმა, რომელმაც გამოხატა საბჭოთა ხალხის გულწრფელი გრძნობები და მტკიცე გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს ვიეტნამელ ხალხს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე განაცხადა: „საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყოველნაირი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს მომძე ვიეტნამელ ხალხს, რომელიც მართალი საქმისათვის იბრძვის. ეს დახმარება გაგრძელდება, სანამ ამერიკელი იმპერიალისტები არ შეწყვეტენ თავიანთ სამარცხვინო, დანაშაულებრივ ავანტიურას და არ წავლენ ვიეტნამიდან“.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერას და დახმარებას დიდი აღმაფრთოვანებელი მნიშვნელობა აქვთ მთელი ჩვენი არმიისა და ხალხისათვის.

დღითიდღე იზრდება და ფართოვდება ვიეტნამისადმი სოლიდარობისა და მხარდაჭერის საერთაშორისო მოძრაობა, და ამ მოძრაობის ბირთვის მოძრაობა სოციალისტურ ქვეყნებში. ეს მოძრაობა არა მარტო შთაგონებს და უშუალო დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მის შედეგად უთუოდ კიდევ უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა წინააღმდეგ აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში (მაგალითად, ზანგთა მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში). ეს ბრძოლა ჩვენი ეპოქის რევოლუციური ბრძოლაა, ბრძოლაა იმპერიალიზმის, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების წინააღმდეგ. მისი მიზანია თანამედროვეობის პრობლემების — მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის პრობლემების გადაჭრა, ეს ბრძოლა გზას უხსნის კაცობრიობის ისტორიის ახალ განვითარებას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა განაცხადა: ახალ წელს ვიეტნამელი ხალხის სახელით გულითად მადლობას ვუძღვნი და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ საბჭოთა კავშირს — ოქტომბრის რევოლუციისა და დიდი ლენინის სამშობლოს, გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც განაგრძობს ლენინის რევოლუციურ საქმეს.

დაე დღითიდღე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მჭიდრო და ურღვევი მეგობრობა.

ყოველი მხრიდან

რაზე წერს უცხოეთის პრესა

2 იანვარი

მხნეობითა და ოპტიმიზმით, მტკიცე რწმენით, რომ 1969 წელს მიღწეულ იქნება ახალი დიდი წარმატებები ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, გამსჭვალულია სოციალისტური ქვეყნების გაზეთების გამოსვლები. ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწონებულ სტატიაში წერს ბულგარეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების წლევანდელ ამოცანებზე. გაზეთი მოუწოდებს მშრომელებს უკვე ახალ წლის პირველ დღეებში მოიპოვონ კარგი შედეგები, რომლებიც მთელ დიდი წლიური პროგრამის წარმატებით შესრულების საწინდარი იქნება.

ბულგარეთის სხვადასხვა კუთხიდან „რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ახალ წელს სამეფოს საწარმოთა კოლექტივებმა მოიპოვეს პირველი შრომითი წარმატებები. ახალგაზურ ცნობებს ბეჭდავენ პოლონეთის, უნგრეთისა და სხვა გაზეთები.

საზღვარგარეთის პრესა დაწვრილებით იუწყება და უძღვნის კომენტარს ცნობებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევის — მსოფლიოში პირველი ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის „ტუ-144“-ის ფრენის შესახებ. ახალი საბჭოთა თვითმფრინავის ფოტოსურათებსა და ზოგიერთ საფრენოსნო-ტექნიკურ მონაცემებს აქვეყნებენ ინგლისური, ფრანგული, დასავლეგერმანული და სხვა გაზეთები. ინგლისური „გარდიანი“ სარედაქციო სტატიას უძღვნის ამ ამბავს. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ დაასკვნის, რომ თვითმფრინავმა „ტუ-144“-მა „საბჭოთა კავშირი დაიყენა ყველა ქვეყანაზე წინ, რომლებიც ცდილობენ განავითარონ სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლა ზებგერითი სიჩქარის თვითმფრინავებით“. „დი-ველტი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) წერს: საბჭოთა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის პირველი წარმატებითი ფრენა ადასტურებს, რომ ამ დარგში საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საავიაციო მრეწველობას.

პრესაში ბევრი მასალა ახლავს მსოფლიო ხაზოგადოებრიობის აღფოთებას ამის გამო, რომ ისრაელი იმპერიალისტები თავბედურად თავს დაესხნენ ბეირუთის სამოქალაქო აეროპორტს. გაზეთები აქვეყნებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ერთსულოვნად დაგმო ისრაელი. ბეირუთზე ბანდიტური თავდასხმის შემდეგ, წერს პოლონური „ძენიკ ლუდოვი“, უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ აგრესორი მიიღებს გაკვეთილს, რომელიც მკაცრი გაფრთხილება იქნება ყოველი ავანტიურისტისათვის. მე-20 საუკუნეში ასეთ დანაშაულებრივ ექსცესებს მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, სიტყვიერი განცხადებებით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღარ შეუწყობს ხელს მეკობრულ აქტებს.

ეენევიევა ტაბუი „პარი-ფურში“ დღეს კვლავ ხაზს უსვამს, რომ საიგონის ადმინისტრაციის საბოტაჟი მთავარ დაბრკოლებას უქმნის პარიზის ოთხთა კონფერენციის გახსნას ვიეტნამის საკითხზე.

„ლუმანიტე“ და მთელი რიგი სხვა გაზეთები აქვეყნებენ საფრანგეთის მშვიდობის მოძრაობის მოწოდებას მოაწყონ 17 და 18 იანვარს მთელ საფრანგეთში ბრძოლის დღეები ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ვიეტნამელი ხალხის დასაცავად.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ეუბნება ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ნიქსონის მრჩეველნი ურჩევენ მას მკვეთრად შეცვალოს უცხო სახელმწიფოებისადმი, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნებისადმი ამერიკის ეკონომიური დახმარების ფორმები და ეს დახმარება კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებაროს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკურ მიზნებს. (საკდესი).

ნაბიჯ-ნაბიჯი

საახალწლო სალამი ქარპატებიდან

კავკასიის „ელექტროქსელმშენს“ ქარპატებიდან მოუვიდა ცნობა; ამ ტრესტის მემონტაჟეებმა დოლინა-ხვალიავას მაღალი მთის უბანზე დაამთავრეს ელექტროგადაცემების მაღალძაბვიანი ხაზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 110 კილომეტრია.

მშენებლობა მიმდინარეობდა ძნელ პირობებში, მაგრამ ქართველ მემონტაჟეებს დიდი გამოცდილება აქვთ. № 8 მექანიზებულ კოლონას, რომელსაც გ. ქობულაშვილი ხელმძღვანელობს და რომელიც აქ მუშაობდა, ამიერკავკასიის მთიანი ადგილების პირობებში მაღალძაბვიანი ხაზების მშენებლობის მდიდარი პრაქტიკა აქვს.

აქ, ქარპატებში, ელექტრომდინარის მშენებლებმა პირველად გამოიყენეს ეგრეთწოდებული სხვადასხვა ზომის ფეხიანი საყრდენები. ამან შეამცირა მიწის სამუშაოთა მოცულობა, საშუალება მისცა მათ დაეზოგთ ასი ათას მანეთზე მეტი.

ტრესტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ქარპატებში თავგამოჩენილი მემონტაჟეები რ. გოგელიძე, ვ. სართანია, ა. გაბარაევი, მეექსკავატორე ვ. მალჩევსკი, სამუშაოთა მწარმოებლები ა. მაღარაშვილი, კ. ბუხაიძე, ლ. კახაძე და ლ. მოკვერიშვილი.

ვიშოვოსკის უღელტეხილის (1.500 მეტრი) შტურმი მოულოდნელად შეწყდა. კრთ-ერთ უბანზე მემონტაჟეებმა აღმოაჩინეს რუსი ჯარისკაცების საფლავები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს ბრუსილოვის ცნობილი შეტევისას დაღუპულან.

ელექტროგადაცემათა ხაზები, რომლებიც მეომართა საფლავებზე ზუზუნებენ, გზას გაუხსნიან მძლავრ ელექტრომდინარეს უკრაინის თბოსადგურიდან (ქალაქი ბურშტინი) ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის საწარმოებისა და დასახლებული პუნქტებისაკენ. (საქდესი).



სიხარულით სავსე ჩანთა

ჩანთებსაც ადამიანებივით თავიანთი წარსული, აწმყო და მომავალი აქვთ, თუმცა მათი ცხოვრება ადამიანებივით ხანგრძლივი არ არის. სულ რადაც ხუთი, ექვსი წელი, და... რას იზამ, ადრე ბერდებიან. სამაგიეროდ მათს მამობლს გიორგი მინდიაშვილს მხნე და ენერგიული იერი აქვს. ჭარმაგზე ამბობენ, ჰაუ რამდენი პერანგი გაუცვეთია. გიორგის ხელების კაცის წლოვანებას კი გაცვეთილი ჩანთებით ანგარიშობენ. თვითონ გიორგი წლებს არა მალავს — შინაბერა ხომ არა ვარ, ოთხი შვილი გამიზრდია, 65 წლიდან 46 წელი ჩანთით გაზეთებს, წერილებს და მალოცვებს დავატარებო...

აბა სოფათს დაავიერდით: მერცხლისას რა უგავს, მაგრამ ხშირად ეცხო ოჯახებში გაბაფხულის, მზისა და სიხარულის პირველი მახარობელი ყოფილა. თუმცა მთლად უცხოც არ ეთქმის; ჩოღურეთში დიდი და პატარა ძია გიორგის ეძახის და სავსე ჩანთისკენ თვალი უპირავთ. ჩოღურეთის აღმართ-დაღმართი ფეხით იმდენჯერ გაუზომავს, დედამიწას რამდენჯერმე შემოსწვდება. აქ უყვართ ძია გიორგი, თავისიანად სთვლიან, თუმცა ბევრმა არც იცის, რომ მისი გვარი მინდიაშვილია — დადის და ჩანთით ახალ ამბებს, სიხარულს დაატარებს. ფოსტალიონები ახლა ძნელ უბნებზე ფოსტას მოტოციკლოსიპედებით დაატარებენ. არ მინდა, ამბობს ძია გიორგი, ისეთ ძველებურად ვიკვლი. ოთხი წელიც, და ნახევარი საუკუნე შესრულდება, მერე კი ვნახოთ... ვნახოთ კი არა, ძია გიორგი, მერეც ასე გავლოს და სიხარულით სავსე ჩანთა გეტარებინოს.

ზ. რცხილაძე.

სურათზე: გ. მინდიაშვილი.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

ფოტულა იანოკოპულუ,

ბერძენი პოეტი

საბჭოთა მიწავ!

მოდის ახალი, ფეხბედნიერი,
ოქრო მოჰყვება სახნისს და ფიწალს...
წლის დაბადების გიმღერო მინდა,
ვეებერთელა ნათელო მიწავ!

გულისთქმა ტკბილი დავმალე ჯიღარ,
შენს გზებზე დავალ თვალდანამული,
განა უბრალოდ ხმელეთი, შენ ხარ
სამშობლო წმიდა, ჩემი მამული.

გიმღერ და გეტრფი მშვიდობის მთესავს,
ვკოცნი შენს ნამგალს, ჩაქუჩს და ფიწალს,
მე შენ გიწოდებ ერთადერთს, ჩემსას,
უკოდეგანო, ნათელო მიწავ.

თარგმნა ნელი ბაბრიჩიძემ.

ორთოგრაფიული ლექსიკონი

ახალი წლის დამდეგს მოსწავლე ახალგაზრდობამ, მასწავლებლებმა, პრესის მუშაკებმა, მკითხველთა ფართო წრეებმა მიიღეს შესანიშნავი წიგნი. გამომცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა ქართულ ლექსიკოგრაფიაში პირველი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც მომზადებულია აწ განსვენებულ აკადემიკოს ვ. თოფურიას რედაქციით.

წიგნის ავტორები არიან ვ. თოფურია და ი. გიგინეიშვილი, გამომცემლობის რედაქტორი — ვ. კახაძე. ლექსიკონი, რომლის ტირაჟია 31.500 ცალი, შეიცავს 70 ათასზე მეტ სიტყვას. (საქდესი).

უკვლავყოფილა სალხინს გულში

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). „ამ შრომატევა არ მოგვიდგეს ხანგრძლივ მასწავლებელს ალექსერეთა ლენინოვან“, როცა ხედავთ, რა სათუთად უნახავს ხალხი ნთამომოდლობასა ოჯახის შვილთა ბასალებს, ვინც დაეცა ფაშიზმის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლებში, ისინი ამ ომში ხომ ლენინურ იდეებს იცავდნენ.

ბევრი არ დაბრუნდა შინ, სამუდამოდ დარჩა შორეულ მიწაზე. ხალხმა მათ ეუგო უკვდავების ძეგლი, აიყვანა ისინი საჩინო კვარცხლბეკზე. ასე მოიქცნენ დიდი ჭეონელებიც. აქ ახლახან აიგო შინამოუსვლელთა ლამაზი, კომპოზიციური ობელისკი-სტელი. მასზე ასახულია 100-ზე მეტი შინამოუსვლელის სურათი.

ლაკარაკობს სასკოლო რადიოკვანძი

ყმარელი. (საკ. კორ.). მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაზე ზრუნვა შედეგის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგიტიკის პირველი რიგის ამოცანაა. ახლახან შეიძინეს საკუთარი რადიოგადაცემებისათვის საჭირო ინვენტარი, შექმნეს სკოლის რადიოკომიტეტი. ასე დაიწყო სანატერესო რადიოგადაცემათა სერიები.

ა. ქ. ესაიანი

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1913 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ანაიდა კარაპეტის ასული ესაიანი.

ა. ესაიანი დაიბადა 1891 წელს ქ. თბილისში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში.

1913 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მევდა კომუნისტური პარტიის რიგებში და აქტიურად მონაწილეობდა ბურჟუაზიულ რევოლუციურ მოძრაობაში.

1920 წელს რევოლუციის მტრებმა ა. ესაიანი დააპატიმრეს, რომელიც პოლიტიკური დამნაშავე და ჩასვეს ალექსანდროპოლის საგუბერნიო ციხეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იგი აქტიურად ჩაება პარტიულ საქმიანობაში. 1921-1931 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პასუხისგებ თანამდებობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

შემდეგ იგი სამეურნეო საქმეობაზე გადაიყვანეს. დიდი სამამულო ომის წლებში ეკერა სხვადასხვა პასუხისგები თანამდებობა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ხაზით.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. არაერთხელ იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პარტიის საქალაქო კომიტეტის, აგრეთვე რაიკომის წევრად.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. ესაიანის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და მედლით.

ანაიდა კარაპეტის ასულ ესაიანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საინტერესო, მხიარული

ცირკის ახალი პროგრამა საინტერესოა მრავალფარულობით. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ცირკის პოპულარული კომიკი ბარანდოვი, რომელიც გასტროლებზე ჩვენთან შვიდი წლის წინათ ჩამოსულა.

კარანდაშის ნიჭის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენშიც და უცხოეთშიც. ეს არის სიცილის ბრწყინვალე ოსტატი, მისი შრომისმოყვარეობა საოცარია, მას საკუთარი შემოქმედების უმნიშვნელო, ნებისმიერი დეტალი აუცილებლად დახვეწილობამდე მიპყავს.

კარანდაში მონაწილეობს ორ კლოუნადაში, პაუზებში და მთელი განყოფილება მისი შემწეობით მხიარული და აღსავსეა ბსუბუქი ხდება.

მთელი მეორე განყოფილება ეთმობა სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის სტეშანე ისაკიანის კოლორიტულ ატრაქციონს.

ატრაქციონის დიდ პროგრამაში ყველაზე შთამბეჭდავია ისაკიანის ჭიდაობა უზარმაზარ მახრჩობელა, საოცარი ფერების მქონე გველთან.

პროგრამას ხსნის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ავანესოვა. საპაერო გიმნასტ ქალს გამოჰყავს უზარმაზარი არწივი, რომელსაც თითქოს პაერში უჭირავს. ტრაპეცია და გიმნასტი — ლამაზი, დასამახსოვრებელი ნომერია.

ტემპერამენტით გამოირჩევა მავთულზე მოსიარულე ნ. მანუკიანი. სადად, გარეგნული ეფექტებისათვის მიუმართავად მუშაობენ მანეჭულა-ტორები ი. და ბ. ხვიფციები; სამაგიეროდ მათი გამოსვლა მაყურებელს ჩააფიქრებს ხოლმე.

საინტერესოა ნინო და რსფსრ დამსახურებულ არტისტ ივანე ხრომოვების გამოსვლა. მათი ტრიუკები უკიდურესად რთულია შესასრულებლად.

შესანიშნავი ნომერი აქვს ეკვილიბრისტს ლ. ოსინსკის — სამამულო ომის მონაწილეს, რომელმაც ფრონტზე ცალი ხელი დაკოვა. მან შეძლო საინტერესო ნომრის დამუშავება და საყვარელ საცირკო ხელოვნებას არ ჩამოშორდა — ნომერი ცალ ხელზე მხოლოდ ქების ღირსია.

რუსპუბლიკის დამსახურებული არტისტები ძმები ი. და რ. აკოფიანები ასრულებენ მთელ რიგ რთულ საპაერო ნომრებს.

მთელი პროგრამა საინტერესო და მხიარულია.

ირ. ყანჩელი.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *



არენაზე არიან კარანდაში და სტეშანე ისაკიანი

სურათებზე: მარცხნივ — სარბაილზეა კარანდაში; მარჯვნივ საპაერო აკრობატები აკოფიანები, ქვემოთ — მომთვინიერებელ ს. ისაკიანის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჭადრაკის მეოთხედფინალებზე

ბ. გურგენიძის წარმატებითი სტარტი

ახალი წლის წინადღით საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გროსმაისტერებსა და ოსტატების საჭადრაკო მაგდასთან ჰქონდათ პაექრობა, საღამოს კი ახალ წელს ალმა-ათის ოპერის თეატრში შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ყველა როდი იყო სტარტის შედეგებით კმაყოფილი, მაგრამ წინ ხომ მთელი ერთი თვის ბრძოლებია.

პირველ ტურში ყველაზე დაზარალებული მოსკოველი ოსტატი ი. ზაიცევი აღმოჩნდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა მას ხათანდო მიუზღო ამას წინათ ჩვენი ქვეყნის გუნდურ პირველობაში დამარცხებისათვის.

ზოგიერთ პარტიაში შეტოქენი მოერიდნენ აგრესიულ ბრძოლას, არ უნდოდათ ერთმანეთისათვის საახალწლო განწყობილება გაეფუჭებინათ და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთებს უნდა მივაკუთვნოთ რ. ხოლმოვ-ლ. კოლუბაევსკის, ვ. ბაბიროვ-ე. ვასიუკოვისა და ბ. გურგენიძისა და ი. ნიკიტინის პარტიები.

სამი პარტია არ შემდგარა, დანარჩენები კი გადაიდო.

თუ პირველ ტურში სამი მაგდა იყო ცარიელი, მეორე ტურში მათი რიცხვი ორამდე შემცირდა, ახალ წელს ბრძოლაში ჩაება გროსმაისტერი ი. ავერბახი. რაც შეეხება ვლადიმაოსტროკელ გროსმაისტერ ა. ზაიცევსს და ტირახპოლელ საერთაშორისო ოსტატ ა. ლუბიკოვს, ისინი ჯერ კიდევ არ ჩასულან ალმა-ატაში.

მეორე ტურში ი. ავერბახს შავებით პაექრობა ჰქონდა გროსმაისტერ ვ. ლიბერზონთან. თავიდანვე ინიციატივას ი. ავერბახი ინარჩუნებდა. ცენტრში ვ. ლიბერზონი ზუსტად ვერ თამაშობდა და 48-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

წარმატებით იბრძოდა საერთაშორისო ოსტატი ბ. ბურგენიძე. მან შავებით ომსკელ ვ. ცეშკოვსკისთან ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ ხარისხი, ძლიერი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე და გაიმარჯვა. პირველი გამარჯვება იზეიმა აგრეთვე კიეველმა ი. სახაროვმა. მან მოიგო ლენინგრაველ ა. ჩერეკაევს.

გროსმაისტერების ლ. პოლუბაევსკისა და ა. ლეონინის პარტიაში ყაიმი აღინიშნა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე იგორ ზაიცევისა და რ. ხოლმოვის, ფ. პოდგაეცისა და ვ. ბაბიროვის პარტიები. ორი პარტია გადაიდო.

ჰასტინგსის ტრადიციული...

ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში გრძელდება საახალწლო საერთაშორისო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. გათამაშდა ხუთი ტური. ლიდერები არიან საბჭოთა მოჭადრაკეები — გროსმაისტერები ვ. სმირნოვი და ოსტატი ვ. ტუმანოვი, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გროსმაისტერმა ვ. სმირნოვმა მეხუთე ტურში დაამარცხა ფ. ფულერი, ხოლო ვ. ტუმანოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ რ. კინთან. ვ. სმირნოვისა და დ. რაიტის (ინგლისი) გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა.

ფეხბურთის ამბები

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა წარმატებული სტარტი აიღო იტალიაში — წაიღო პირველი მატჩი ქალაქ პიზაში ადგილობრივ საკლუბო გუნდთან. მეორე შეხვედრა სპარტაკელებს ჰქონდათ იტალიის პირველობის ლიდერთან „ალიარის“ საკლუბო გუნდთან. ამ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელები აღმავლობით იბრძოდნენ და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:1.

შერნაულ „ფრანს-ფუტბოლის“ ანკეტით პირველი ადგილი ევროპის 1968 წლის სეზონის კლასიფიკაციით მიენიჭა მსოფლიოს ჯიცე-ჩემპიონს გერმანიის ფეხბურთელი ბაიერს (ბუფი მოგება, ამდენივე ფრე და ერთი წაგება). მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელები (4 გამარჯვება, 1 ფრე). მომდევნო ოთხი ადგილი დაიკავეს იტალიის, იუგოსლავიის, ინგლისისა და სსრ კავშირის გუნდებმა.

ჯონსა ლატინს საავიანტოს ანკეტით 1968 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ფეხბურთელ ალექსანდრეს ბოთამაშე დ. ჯაჩი. ე. ხტრელცოვი მე-16 ადგილზე აღმოჩნდა.

რამდენიმე სტრიქონით

● სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში თ. ლეიუსი საბჭოთა კავშირის პირველი სპორტსმენია, რომელიც მონაწილეობს ტასმანიის ფინალ ჩემპიონატში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ ავსტრალიის პროფესიონალი ჩოგბურთელები. საბჭოთა ჩოგბურთელი ამ პასუხსაგებ ასპარეზობაში წარმატებით გამოდის. მორიგ შეხვედრაში თ. ლეიუსმა დამარცხა ავსტრალიელი სპორტსმენი და მეოთხედფინალში გავიდა.

● კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ჭიტკაუსკიჩუსმა ლიტვის მძლეოსანთა თასის გათამაშებაში ბირთვი ჰკრა 17 მეტრსა და 55 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა ჭაბუკთაშორის. ეს იყო 1968 წლის უკანასკნელი რეკორდი, რომელიც 12 სანტიმეტრით აღემატება ადრინდელს.

რადიო

4 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — საორკესტრო ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მოსკოვი), 11.05 — კონცერტი თბილისისა და ქუთაისის ოვითმოქმედი კოლექტივების. მონაწილეობით, 11.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ელვარი. სვრენადა სიმებიანი ორკესტრისათვის, 12.00 — საუბარი „მზრუნველობით გარემოსილნი“, 12.10 — ნ. გაბიჩვაძისა და ა. კერესელიძის სიმღერები, 12.30 — ბავშვებისათვის — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე. 12.45 — ტიტო გობის კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 14.30 — გ. ცაცანაშვილი. საპიოლინო კონცერტი, 15.00 — მწვრილები მიკროფონთან, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი-საუბარი „ჩაიკოვსკის მიმოწერა იუზეფსონთან“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „გერმანელი პიონერების საახალწლო საჩუქრები“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მღერიან ვ. მაშტაკოვა და ნ. სლიჩენკო, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — შოპენი. საფორტეპიანო პიესები, 19.00 — რადიოჟურნალი „ლენინური ალმანახი“, 19.30 — ციკლიდან „ქართული ხალხური მუსიკის მოამაგენი“. კონცერტი-საუბარი „სანდრო კავსაძე“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ახალგაზრდობისათვის. საუბარი „ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა“, 21.00. — „ძილისპირული“, 21.15 — ი. ჭაკვავაძე. „ნიკოლოზ გოსტაშაბიძეზე“. მოთხრობა, 21.35 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერებიდან, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 — ა. ბოროდინი. სიმფონიური სურათი „შუა აზიაში“, 23.30 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

5 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეკიმი ანბოლიტი (დღისით), დონ პასკუალე (საღამოს), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე (დღისით), დენბერგის ზარი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყარამან ყანთელაძე (დღისით), სიყვარული სხვამაო ერ ორის (პრემიერა საღამოს), ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიბედისწერო ოპერეტა (დღისით), ბაბაჯანას ქოშები (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითელქუდა (№ 14 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), დარისპანის გასაჩირი, უბედურება (№ 40 აბონ. საღ. 6 ს.), თოჯინების ქართული — ოქროს საღამური (დღის 11 ს. და 1 ს.).

6 იანვარი

11.05 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის — „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოკომედია „ბედის უკუღმართობა“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 12.00 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თორმეტი თვე“, 19.05 — გაინტადებები, 19.10 — გადაცემა „მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის“, 19.40 — კონცერტი, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.45 — საქართველოს ფირადი ტელევიზიის კინოდარბაზი: 1. „სპორტული დოკუმენტური ფილმები, 2. მხატვრული ფილმი „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“, 22.45 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა — ო' გენრი. „სფინქსის ვაშლი“. მინიატიურების სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი, 23.45 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.45 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 საათიდან.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ



რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ქომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-98, მრეწველობის — 98-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-14-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54, განცხადებების — 95-93-96.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფა 03103 სტ. „ბ“ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

საახალწლო სალამი ქარპატებიდან

ახუნდოვის პრემია — რეჟისორს

მ. ფ. ახუნდოვის სახელობის რესპუბლიკური პრემია მიანიჭა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს, ს. ვურღუნის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს მ. კ. აშუმოვს. ეს ჯილდო მას მიენიჭა დიდი დამსახურებისათვის რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების დარგში და მ. ი. ლერმონტოვის პიესის „მასკარადის“, ნ. პიჭმეთის „დამოკლეს მაზვილის“, ე. რაძინსკის „იღებენ კიბოს“ დადგმისათვის.

თავისი შემოქმედებით მ. კ. აშუმოვმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანულ საბჭოთა თეატრის განვითარებაში, რომელთანაც იგი ორმოცი წელია დაკავშირებული. (საკდესის კორ.).

ბაკო.

მეცხვარეთა ახალი კლუბი

ყოველდღიურად ომჯობესდება ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მოზამთრე ქართველ მეცხვარეთა კულტურული მომსახურება. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან ლენინგორის, დუშეთისა და თიანეთის რაიონების კულტურის განყოფილებები.

საძოვარ მასივებზე დუშეთის და თიანეთის რაიონის მეცხვარეთათვის გახსნილია სასოფლო ბიბლიოთეკები. ამ დღეებში ლენინგორელ მეცხვარეთათვის ახალი სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა გახსნა ლენინგორის კულტურის განყოფილებამ. ბიბლიოთეკა და კლუბი უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით და ლიტერატურით.

სასოფლოა ამ კარგ მაგალითს მიბაძავს ყაზბეგის რაიონის კულტურის განყოფილებამ და ყაზბეგელ მეცხვარეთათვის განკოთხილი საძოვარი მასივის ცენტრში გახსნას სასოფლო ბიბლიოთეკა.

ჯ. ლუხუტაშვილი.

აგიტმსატვრული ბრიგადები კოლეეურნეებთან

□ ფალენჯიხა. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს საჩინოს ქალწოვის სახელობის კოლეეურნეობის კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა და საესტრადო ჯგუფი (სამხატვრო ხელმძღვანელი თ. ფიფია).

ბრიგადა და საესტრადო ჯგუფი, გარდა საჩინოელი კოლეეურნეებისა, მომსახურებას უწევს სხვა სოფლების მშრომელებსაც.

□ ზუგდიდის რაიონის დარჩელის კულტურის სახლის მხატვრული კოლექტივები ხშირად აწყობენ კონცერტებს კოლეეურნეებისათვის. ამას წინათ ვანის საძოვრებზე გავმართეთ კონცერტი, მწყემსებს ჩავუტანეთ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოვაწყეთ საუბრები.

ზ. ქობალია,
დარჩელის კულტურის სახლის დირექტორი.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

□ სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა ამ დღეებში წარმოადგინა ოთარ მამფორიას ორმოქმედებიანი დრამა „იეთიმ გურჯი“.

სპექტაკლის დამდგმელია აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სულიკაშვილი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თ. ყვანიას. იეთიმ გურჯის როლს ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩუბინიძე. („კომ.“ კორ.).

□ ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. ფიგეირედოს პიესა „ეზოპე“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ს. ყიფშიძემ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბაკანდაძემ.

□ თელავი. (საკ. კორ.). აკ. ჩავჩავაძის პიესა „ნისლიანი დღეები“ თელავის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მორიგი პრემიერაა. სპექტაკლის დამდგმელია რეჟისორი ვ. გელაშვილი. მხატვრობა ეკუთვნის დ. ბალარჯიშვილს, მუსიკა ი. არაყიშვილს.

□ ახალციხე. (საკ. კორ.). მესხეთის სახელმწიფო თეატრში მაყურებელმა ნახა პრემიერა ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“. სპექტაკლის დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თეატრის თავარ რეჟისორს ნ. დეკანოზიშვილს, მუსიკა — ვ. აზარაშვილს.

□ ბორჯომის სახალხო თეატრმა წარმოადგინა რაიმონდ კაუბერის დრამა „სასჯელის უმაღლესი ზომა“. სპექტაკლის დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ხმალაძემ.

ა. კაკაკაიშვილი.

□ ჩოხატაურის რაიონის სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა გ. ხუციშვილის კომედია „ჩემი ცოლის ქმარი“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ს. რამიშვილს.

დ. გურგენიძე.

1.600 ათასი მოგება

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 1969 წელს მოეწყოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეოთხე ავტომოტოლატარია.

ახალი ავტომოტოლატარია ჯამოიღის 80 მილიონი მანეთის ოდენობით და იყოფა ორ გამოშვებად. პირველი გამოშვება — 50 მილიონი მანეთის ოდენობით — გაიმართება 1969 წლის ივლისში, ხოლო მეორე გამოშვება — 30 მილიონი მანეთის ოდენობით — დეკემბერში.

ორ ტირაჟში გათამაშდება ფულისა და ნივთების 1.600 ათასი მოგება. მათ შორის 640 ავტომობილი „ვოლგა“, 960 — „მოსკვიჩი-412“, 1.280 — „ზაპოროჟეცი-9663“, სხვადასხვა მარკის ცხრა ათასი მოტოციკლი, მოტოროლერი, მოპედი, ნავის ოთხი საკიდი მოტორი, რადიომიმღები „ვეფ-ტრანზისტორ-12“.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეოთხე ავტომოტოლატარიის პირველი გამოშვების ბილეთების გაყიდვა 1969 წლის იანვარში დაიწყება.

(საკდესის კორ.).

ესპეტვრის ჯიქილი

უსიტყვოდ.

ნახ. ა. ერაძისა.

მოზეარხეგული ინკასატორი.

ნახ. ჯ. ლოლუასი.

— გამიშვით დირექტორთან.
— ნუ ფიცხობთ, ახალგაზრდავ. აგერ ამ მობუცს ხომ უყურეთ, უკვე წელიწადია ელოდება!

ნახ. ო. ბრეგვაძისა.